სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება № 70

ქ. თბილისი **13 სექტემბერი 2017 წელი**

ერთის მხრივ, **სსიპ „აწარმოე საქართველოში“** (შემდგომში - ,,შემსყიდველი”) წარმოდგენილი დირექტორის **მარიანა მორგოშიას** სახით (**მის:** ქ. თბილისი, მარჯანიშვილის №5/16-18, **ტელ:** +995 32 2960010, **მობ:** 599882242 **ს/კ:** 204582763, **საბანკო რეკვიზიტები:** სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22, ა/ა 200122900) და მეორეს მხრივ,

შპს „აიღვინისსახლი“ შემდგომში ,,მიმწოდებელი“, წარმოდგენილი დირექტორის **ნანა ჭანტურიას** სახით, (მის.: ქ. თბილისი, ელენე ახვლედიანის აღმართი #4, საბანკო რეკვიზიტები: ბანკი: „პროკრედიტ ბანკი”; კოდი: **MIBGGE22**ა/ა # GE11PC0133600100065118, საიდენტიფიკაციო კოდი: 406 128 275)

ვმოქმედებთ რა, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის "ვ" ქვეპუნქტისა და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სსიპ „აწარმოე საქართველოში“-ს (ორგანიზაციის კოდი 24 07 02) 2017 წლის დაფინანსების ფარგლებში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში _ „ხელშეკრულება“) _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ _ კალენდარული დღე, კვირა, თვე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას ხელშეკრულების ფარგლებში.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. **ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის მიერ კვების საწარმოების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა (CPV55500000).**

2.2. საქართველოს საინვესტიციო შესაძლებლობების გაცნობის მიზნით მოწვეული ამერიკელი სტუმრებისათვის კვების მომსახურების გაწევა (ლანჩი) თავის მმართველობაში არსებულ რესტორანში -„ ვინოტელი“.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 1087,20 (ათას ოთხმოცდაშვიდი ლარი და 20 თეთრი) ლარს.

3.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარესტორნო მომსახურების ერთეულის ფასი განისაზღვრება მომსახურების გაწევის დღისთვის მიმწოდებლის მიერ სტანდარტულად დადგენილი ფასების შესაბამისად.

3.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე, წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით, მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს (მათ შორის დამატებითი ღირებულების გადასახადს).

4. მომსახურების გაწევის ვადები და ადგილი

4.1. მიმწოდებლის მიერ მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს **2017 წლის 13 სექტემბერს, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად და შემსყიდველის მიერ მითითებულ კონკრეტულ დროს (საათზე).**

4.2. შემსყიდველის მხრიდან მოთხოვნა მომსახურების გაწევის საჭიროების შესახებ მიმწოდებელს ეცნობება შემსყიდველის წარმომადგენლის მიერ, საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით, წინასწარ, გონივრულ ვადაში.

4.3. მომსახურების გაწევის ადგილია**ქ. თბილისი, ელენე ახვლედიანის აღმართი #4.**

5. მხარეთა ვალდებულებები

5.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

5.1.1 უზრუნველყოს ხარისხიანი მომსახურების გაწევა ხელშეკრულების პირობებისა და დადგენილი სტანდარტების/წესების შესაბამისად;

5.1.2. უზრუნველყოს, მისაწოდებელი კერძების და კვების პროდუქტების შესაბამისობა თავისი საგემოვნებო თვისებებით დადგენილ სტანდარტებთან, უნდა იყოს საკვებად ვარგისი და ჯანმრთელობისთვის უვნებელი;

5.1.3. უზრუნველყოს შემსყიდველის მიერ ჩატარებული ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრა გონივრულ ვადაში, საკუთარი ხარჯებით.

5.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

5.2.1. უზრუნველყოს მიმწოდებლისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისთვის ხელშეწყობა;
5.2.2. უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

6. ინსპექტირების პირობები

6.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას, ხეკშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე, „შემსყიდველის" მხრიდან განახორციელებს ინვესტიციების მხარდაჭერის დეპარტამენტის პორტფელის მენეჯერი **ნინო მაღრაძე.**
6.2. ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზანს წარმოადგენს:
ა. მომსახურების გაწევის ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;
ბ. გაწეული მომსახურების ან/და მისი ნაწილის ხარისხის ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.
გ. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებზე კონტროლის განხორციელება.
6.3. "მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს "შემსყიდველი" ინსპექტირების ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ "შემსყიდველი" ინსპექტირების მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით "შემსყიდველი".
6.4. ინსპექტირების შედეგად ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრა და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი ხარჯის ანაზღაურება ეკისრება "მიმწოდებელს" საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
6.5. ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს "მიმწოდებელს" წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისაგან.

7. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

7.1. მომსახურება გაწეულად ჩაითვლება მხოლოდ მხარეებს შორის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
7.2. მიღება-ჩაბარების აქტში ნაჩვენები უნდა იქნას მიწოდებული გაწეული მომსახურების ღირებულება.
7.3. მიღება-ჩაბარების აქტი მხარეთა შორის გაფორმდება ერთიანად, გაწეული მომსახურების შესაბამისად და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ინვოისის საფუძველზე.
7.4. „შემსყიდველის" მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭება ხელშეკრულების მე-6 მუხლის 6.1. პუნქტში მითითებულ პირ(ებ)ს.

8.ანგარიშსწორება

8.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:
8.1.1. ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი;
8.1.2. ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.
8.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ერთიანად, გაწეული მომსახურების შესაბამისად, მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, დოკუმენტის სრულყოფილად გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო, ყოველ ასეთ შემთხვევაზე ხელშეკრულების ღირებულების 1%-ის ოდენობით.
9.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის მიზეზით ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს დააკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მთლიანი ღირებულების 10%-ის ოდენობით.
9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები "შემსყიდველისთვის",

გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევების დადგომის დროს ხელშეკრულების საერთო ღირებულების ზრდა შესაძლებელია არაუმეტეს ხელშეკრულების თავდაპირველი ღირებულების 10%-ის ფარგლებში, სხვა რისკებს იღებს მიმწოდებელი.

10.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

10.5. მხარე ვალდებულია 10.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

10.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. ხელშეკრულება ძალაში შედის წინამდებარე **ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 30 ოქტომბრის ჩათვლით.**

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოშობილი დავა წყდება მორიგებით.

12.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების შესრულების შეუძლებლობა (ფორს-მაჟორი)

13.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორს-მაჟორის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

13.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორს-მაჟორული მდგომარეობის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

14.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორს-მაჟორული მდგომარეობის მოქმედების დასრულებისთანავე.

14. სხვა პირობები

14.1. ხელშეკრულება შედგენილია **ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, რომელთაგან თითოეული გადაეცემა მხარეებს.**

14.2. შემსყიდველი მხარის წარმომადგენელი, ქვემოთ ხელისმოწერით ადასტურებს, რომ **მიმწოდებლის** მიმართ სრულად აკმაყოფილებს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე–8 მუხლით დადგენილ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესებს.

15. მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი" სსიპ „აწარმოე საქართველოში"	„მიმწოდებელი" შპს „აიღვინისსახლი"
დირექტორი მარიანა მორგოშია	დირექტორი ნანა ჯანტურია
(ხელმოწერა)	(ხელმოწერა)